21/04/2020

მოსკოვში კორონავირუსით სასულიერო პირი გარდაიცვალა

მოსკოვში ელოხოვოს საკათედრო ტაძრის წინამძღვარი კორონავირუსით გარდაიცვალა. ინფორმაციას ამის შესახებ რუსული სააგენტო „ტასი“ რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიაზე დაყრდნობით ავრცელებს.

როგორც რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის განცხადებაშია აღნიშნული, დეკანოზი ალექსანდრ აგეიკინი კორონავირუსით გამოწვეული გართულებების გამო გარდაიცვალა.

დეკანოზი ალექსანდრ აგეიკინი 48 წლის იყო. ის ელოხოვოს საკათედრო ტაძრის წინამძღვარი 2013 წლიდან იყო.

რუსეთში ოფიციალური მონაცემებით, სულ გამოვლენილია კორონავირუსის 52 700-ზე მეტი შემთხვევა, გარდაიცვალა 456 ადამიანი.

— 1tv.ge